№ 2

12 იანვარი

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲬᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ

1909 წ.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲯᲐᲒᲐᲗᲝᲒᲘᲗ

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА“ К. П. Туманову.

გაზეთი „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № დღის უველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კერძო დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. თუმანიშვილი.

რუსული ოფველდღიური გაზეთი

„Закавказское Обозрѣніе“

ფასი წლიურად ტფილისში 6 მან. ნახევარის წლით 3 მან. 50 კაპ. ტფილისს გარეთ წლიურად 8 მან. ნახევარი წლით 4 მან. 50 კაპ. თვიურად ყველგან 75 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь, д. Гургенова, ряд. съ конторою нотаріуса Мгеброва. 0—1

ᲐᲛᲮ. „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡᲐ“

დიდი ხანია სამართლიანი საყვედური მაისმის საზოგადოებაში ქართულ წიგნების უქონლობის გამო. უეჭველია, გასულ საუკუნის მესამეც და მე-ᲐᲛᲘᲪᲓᲐᲐᲝ წლებთან შედარებით წიგნის საქმე ჩვენში ფრიად განვითარდა, მაგრამ დღესაც დიდი სიღარიბეა წიგნებისა. ქართული წიგნი არ მოიპოვება არც მაღაზიაში, არც ბიბლიოთეკაში, არც ოჯახში. ხშირად გაგვიგონია საყვედური, ბიბლიოთეკაში რაც ქართული წიგნი იყო, მადაგიკითხე და ახლა აღარა მაქვს რაო. წიგნის მაღაზიაში რომ შეხვიდეთ, თითებზე ჩამოითვლით სერიოზულ ქართულ წიგნებს. გადის თვეები, ხან წლებიც და ერთი-ორი ხეირიანი თხზულება თუ გამოვა ქართულ ენაზე.

არ შეგიძლიანან ვთქვათ, რომ მოთხოვნილება არ იყოს წიგნებისა. შეიძლება, სუსტია ᲯᲔᲠ კიდევ მოთხოვნილება, მაგრამ დღე და დღე მატულობს და უფრო გაიზდება, თუ ახლანდელი მოთხოვნილება არ დარჩება დაუკმაყოფილებელი. ჩვენი პირადი გამოცდილება მვეთანხმა, რომ ჩვენში წიგნს ეძებენ მასავალი, წიგნი დაიბეჭდება და გავა, თუ ყველასათვის მისაწვდომი იქნება.

ვფიქრობთ, რომ თუ ქართული წიგნი შინაარსიანი იქნება, ამასთანავე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი, 1500 ცალი მაინც უნდა გასაღდეს.

ამისათვის ჩვენ გადაწყვეტეთ მიეცეთ მაუნველს წიგნი იმდენ ფასად, რამდენათაც ჩვენ დაგიჯდება, რომ ყველასათვის ხელ მისაწვდომი იქნეს წიგნის შეძენა. ჩვენ შეძლებას გაძლევთ მსუბუქელს პროვინციის ყველა დაბა-ქალაქში ჩვენ აგენტებთან მოაწერონ ხელი გამოაცემს და იქვე მიიღონ გამოცემული წიგნიც.

ამ მოსაზრებით განვიზრახეთ, გამოვცეთ რამოდენიმე წიგნი, ყველაზედ უწრინარეს კაზმულ მწერლობის ნაწარმოები, ამ საერთო სათაურით:

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

ჩვენს გამოცემულ წიგნებში დაიბეჭდება რომორც ახალი, არსად არ დაბეჭდილი ნაწარმოები, ისე ძველი, უკვე დაბეჭდილი ეროსნალ-გაზეთებში და სხვ.

წიგნი იქნება მოზრდილი ტანისა, 200 გვ., სუფთად და ლამაზად დაბეჭდილი.

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲛᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐᲡ ᲐᲘᲡᲐᲠᲗ „ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ“ ᲠᲣᲓᲘᲐᲜᲘ.

პირველად დაიბეჭდება ვაჟა-ფშაველას „ᲪᲘᲠᲔᲚᲔᲑᲘ“, დაუბეჭდავი ლექსები და პოემები.

წიგნები ეღირება ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ 25 კ. და მიეცემა მხოლოდ ხელის მომწერთ.

ვისაც სურს წიგნის დაკვეთა უსათუოთ ხელი უნდა მოაწეროს შემდეგ ადგილებში:

ტფილისში წ.-კ. სახ. მაღაზიაში, „ნ. რერ“-ის წიგ. მაღაზიაში, „ალიონ“-ს წიგ. მაღაზიაში; ბორჩალოში—მგალობლიშვილის და კალანდაძის წიგ. მაღ.; მიხაილოვში—ფ. ებანოიანცთან. მანუფ. მაღ.; ყვირილაში—„სორაპანი“ ივ. გაჩეჩ ლაძე; ქიპოურაში—პირტახია; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—„იმერეთის“ წიგ. მაღ. კეკლაძე; სამტ�-ედიაში—ე. კოხრეიძე; ბორჯომში—ალაქელიშვილი; ოზურგეთში—წიგ. მაღ. თალაკვაძე; ლანჩხუთში—წულაძე; ჩიხატაურში—ის. მგელიშვილი; ფოთში—იოსებ კოტრიკიძე ბათუმში—სილიბისტ. ფირცხალაშვილი; თელავში—ონიკაშვილი, სიღნაღში—ივ. ზალიკაშვილი.

ხელის მოწერა დაიწყება 6 იანვარს და მათავდება 23 იანვარს. შემდეგ ხელის მომწერლები ადარ მიიღებიან. იანვრის 25 დაიწყება წიგნის ბეჭდვა და დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება. ხელის მომწერთ შეუძლიანთ დაბეჭდილი წიგნი მიიღონ იმ აგენტისაგან, ვისთანაც დაბეჭდილი 25 კ. ეკუთვნება იყიდა.

პირველი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერლებს 15 თებერვალს.

წიგნი კერძოთ გასასყიდად არ გამოვა.

ვისაც ესურვება პირდაპირ ფულის გამოგზავნა, მან უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესთა: Тифлисъ, Т—во „Сорапанъ“, М. Гачечиладзе. ფულის მაგიერ მარკების გამოგზავნაც ეიძლება. 0—3.

8 დეკემბერს გაიხსნა
თფილისის

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲕᲭᲣᲠᲜᲐᲚᲝ
(ᲐᲛᲑᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲐ)

ღია ყოველ-დღეს მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ᲕᲐᲜᲔᲚᲖᲚᲘ Ქ., 8; ს. ენფენᲯᲘᲐᲜᲪᲘᲐ (ტელეფონი 695.)

ᲔᲥ. Დ. Გ. ᲤᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘ: ყოველ-დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ½—9 ½ საათამდე **შინაგანი.**

ᲔᲥ. Ვ. Დ. ᲚᲐᲛᲐᲨᲘᲫᲔ: ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. **შინაგ. და ᲑᲐᲕᲨᲕ.** ავადმყ.

ᲔᲥ. Ბ. Ა. ᲠᲝᲠᲝᲕᲘ: ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ. **12 - 1 ს.; ᲧᲔᲚᲘᲡ, ᲪᲮᲘᲠᲘᲡ** და **ᲧᲣᲠᲘᲡ** ავადმყ.

კვირა დღ. გარდა, 2—2 ½ ს, **თვალის** ავადმყ.

ᲔᲥ. Ბ. Მ. ᲛᲐᲯᲐᲠᲝᲕᲘ: სამშ. და პარ.: 12—1 ს.; **შინაგან** ავადმყ.

ᲔᲥ. Ა. ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ: ყოველ-დღე 11 ½—12 ½ ს.; **სიფილ. ვენ.** და **კანი** ავადმყ.

Ქ. ნ. მ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ყოვ. დღე; 2—4 ს.; **დედათა და ᲥᲘᲠᲣᲠᲒ.** ავად.

ᲔᲥ. Ი. Ბ. ᲒᲝᲛᲑᲐᲠᲗᲔᲚᲘ: ყოვ. დღე; 2—3 ს.; **შინაგან.** და **ᲑᲐᲕᲨ.**: ავადმყ.

ᲔᲥ. Ვ. Ს. ᲛᲣᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2½ ს., **თვალის** ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲧᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲧᲠᲐ და ძიძათა გასინჯვა.

ფასები **რჩევისათვის 50 კაპ.** ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება **სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით.**

ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐ Გ. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა, ყორღანიეის ქუჩა. საკუთარი სახლი, № 20, ტელ. 791.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ
კანისა და ვენერიული ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანიეის ქუჩა № 14.

ᲔᲥᲘᲛᲘ თვალისა
Ზ. Მ. ᲪᲘᲮᲘᲫᲔ
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 საათ. და საღამოს 5—6 საათ., ვერა, ოლგის ქუჩა, № 34, ს. სარაჯიშვილისა.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Დ. ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ
გადავიდა ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ პროსპექ. № 8. ზღვალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Მ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით, და 4—6 ს. საღამოთი, ბროსეს ქ., № 11.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით—9 ს., საღამოთი 5—7 საათ. ავაკლის ქუჩა, № 41, სასულიერო სასწავლების პირდაპირ.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Ს. ᲛᲣᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კირჩნი ქუჩა № 9.

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ:

ᲔᲥᲘᲛᲘ Კ. Თ. ᲧᲣᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსფენტი, სანარდე მილის, ბეშტის და თირძერლების სტენოზი), ტფილისის ქ. ფირფლარის ხახლი (ქარხანა).

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიკარაძისა.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ი. ᲐᲨᲘᲐᲜᲪᲘ
ყოფილი ორდენ ტორი ბარონების სამხედრო ქირურგიული კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 საათ. ტფილისის ქუჩა, სახლი რუხაძისა, № 20.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. Ს. ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ
იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, ᲐᲑᲠᲣᲗᲘᲡ ᲑᲔᲠᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ყოველ დღე: დილით 9—1 ს., საღამოთი 6—7 ნახვამრ სათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. № 29 ჩარეკოვისა.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. ᲤᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სადაც კახეკაფის ᲥᲣᲩᲐ იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 12—2 ს. და საღამოთი 4—6 საათ.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Მ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
იღებს ავადმყოფებს დილით 8—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდის. ᲒᲘᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡ ქუჩა. ᲥᲣᲗᲣᲗᲘᲡᲘᲡ სახლი № 1.

ᲕᲘᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ და ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡᲐ

ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲬᲕᲠᲗᲜᲘᲚᲘ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲝᲠᲘ
უნივერსიტეტისა ხელმისაწვდენ ფასად ამზადებს და ასწავლის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის.

იკითხეთ რედაქცია „დროებაში“.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

ჩვენ, ქართველები, ამ ასი წლის განმავლობაში მუდამ ეროვნულად დაჩაგრული ვიყავით: იდევნებოდა ჩვენი ენა, იდევნებოდა ჩვენი ზნე-ჩვეულება, სახელმწიფოში ყველა მოვალეობა გვეკონა დაკისრებული, უფლებით კი...ულებით სხვებთან გათანასწორებას დღემდის კიდევ ვერ ვღირსებივართ.

ამიტომ საჭიროა ეროვნული იდეალების წამოყენება.

ქართველების მტერ-მოყვარენი იტყვიან, ეროვნული დაჩაგრა მხოლოდ შეძლებულს ხვდება და ხალხისათვის მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. აკი ახლაც ჩვენგან ეროვნულ იდეალების ხსენებას აუფეძვებია ამ მტერ-მოყვარეთა ბანაკი,—ცდილობენ ამ იდეალებს სახელი გაუტეხონ და ხალხს ეუბნებიან: „ივერია“ და კ. თუმანიშვილი თავადაზნაურობის ინტერესებს იცავენ, ეროვნულ იდეალების ხსენებით მისი გაბატონება სწადიათო...

ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ეროვნულად დაჩაგრულ ერში ეროვნულ იდეალების სახელის გამტეხი ადამიანი ამ ერის მტერია.

რამე სნეულება რომ მჭირდეს, ამ სნეულების მიზეზით ვკვდებოდე, ჩემთვის ჩქარი შველა იყოს საჭირო და ექიმი კი ამ სნეულებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდეს და მხოლოდ გაზაფხულის სიმშვენიერეზე მეუბნებოდეს,—ეს ექიმი ჩემთვის სასარგებლო იქნება თუ არა? გაზაფხულის მოლოდინში დამანელებს სნეულება და ამ წუთისოფელს გამომასალმებს.

ასეთივე ბედი ეწვია ქართველებს. ეროვნულად დაჩაგრული ვართ, ამ დაჩაგვრისაგან ვიტანჯებით, გადაგვარების გზას ვადგიგართ, ვკარგავთ შემოქმედებით ნიჭს, ვკარგავთ სიცოცხლეს და ჩვენი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები კი ხალხს ეუბნებიან:

— გაზაფხული მოვა, „ფართო რეფორმებია“ საჭიროა, მთელ რუსეთში ახალ წესწყობილების შემოღება, ფართო სოციალურ რეფორმების განხორციელება... ამ რეფორმების მოლოდინში ეროვნული სული გვძღერება, ეროვნული დაჩაგრა გვკვლავს, ხალხი კულტურულად კვდება...

ვის არ უნდა, რომ რუსეთში ნამდვილი დემოკრატიული წყობილება დამყარდეს, ვის არ ენატრება, რომ მთელ დედამიწაზე სრული თანასწორობა და ბედნიერება შემოვიდეს, მაგრამ ამ წყობილების და თანასწორობის მოლოდინში ჩვენი საკუთარი, განსაკუთრებული საჭიროება რომ დავიიწყოთ, ეს ხომ ნამდვილი გულუბვილობა იქნება... სანამ პეტრე მოვა, პაველს ტყავი გაძვრება და ტყავ-გამძვრალს მას პეტრესი მოსცეო რაოდენ სჭირია.

ჩვენს საკუთარ, განსაკუთრებულ საჭიროების დაკმაყოფილებაზე თავს არ გაიცხელებს არც რუსი, არც პოლონელი არც ფინლანდელი, რადგან იმათ კიდევ თავიანთი განსაკუთრებული საჭიროება აწუხებს.

ჩვენ თვითონ უნდა გავარკვიოთ ჩვენი სხვა და სხვა საჭიროება, მათი დაკმაყოფილების აუცილებლობა უნდა გამოვაცხადოთ, მათთვის ბრძოლასაც არ შეუშინდეთ.

საუბედუროთ ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიები ამ საჭიროებათა დასახელებასაც გაურბინან, მათ დასაკმაყოფილებლად ხელის განძრევასაც ვერ ახერხებენ.

ან ეგება არ იციან, მათი დაკმაყოფილება რა საშუალებას მოითხოვს?

არ იციან, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ერმა თავისი სახე არ დაჰკარგოს, არსებობა და კულტურული განვითარებაც მოახერხოს?

ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში რა არ სთქვეს, რა გზა არ უჩვენეს ხალხს, რა იდეალი არ დაუსახეს... მათ სიტყვებში იყო, განა, ადგილობრივ საჭიროებათა ხსენება? არა! თეორიულად, კაბინეტებში შედგენილ პოლიტიკურ პროგრამების განხორციელებას ცდილობდენ უტოპისტურად, ერთის ხელის დაკვრით ისე, როგორც ასეთისავე პროგრამის განხორციელებას აპირებდენ რუსეთის ს.-დემოკრატები ან ს.-რევოლუციონერები. **ამიტომ** საქმეც არაფერი გაკეთდა და რეაქციისაკენაც ფართო გზა გაიხსნა.

უდიდესი კითხვა, რომლის გარშემო ტრიალებდა და ახლაც ტრიალებს რუსეთის რევოლუცია და რომელსაც ჩვენთვის, ქართველებისთვის, კიდევ თავისებური, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს,—მიწის საკითხი არის. რუსეთში, როგორც ისეთ ქვეყანაში, რომელშიაც მრეწველობა ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებულია და ხალხის უმეტესობა სოფლად ცხოვრობს და მიწის დამუშავებით იკვებება,—გლეხებს, ხალხის უმეტესობას, მიწა სჭირდება, მიწა თავისუფალი, მიწა საკუთარი.

ქართველებშიაც ხალხის უმეტესობა მიწას ეტრფიალება. აქაც მიწის დამმუშავებელს მიწა სჭირია და ხალხის კეთილს მსურველმა რამე საშუალება უნდა მონახოს, რომ ჩვენშიაც მთელი მიწა მის დამმუშავებელის ხელში გადვიდეს.

მიწას ჩვენთვის, ქართველებისთვის, კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს. ნუ დავივიწყებთ, რომ ერისთვის კულტურული დამოკიდებლობა შეუძლებელია, თუ მას თავისი საზღვრები, თავისი ტერიტორია არა აქვს. შემდეგში ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტერიტორიას ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში, ახლა აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მეზობლები ამ ტერიტორიას სხვა და სხვა საშუალებით ხელიდან გვაცლიან, ცდილობენ, ჩვენს მიწა-წყალზე გარედან მოსული ხალხი დაასახლონ და ამნაირად საქართველოს საზღვრებში არა ქართული ელემენტები გაამრავლონ.

ამიტომ მიწა მიწის დამმუშავებლისათვის არის საჭირო,—მიწის მის ხელში გადასვლა საჭიროა მთელ ერისთვის, რადგანაც იგი უ'ᲠᲣᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ერის კულტურულ ზრდას და საშუალებას აძლევს ხალხს ამა თუ იმ საზღვრებში თავისი ეროვნული ცხოვრება სხვის დაუჩაგრელად თავის ნებაზე მოაწყოს. დამმუშავებელის ხელში მიწის გადასვლა ეროვნულის მხრივ უფრო საიმედოა ვიდრე მისი მსხვილ მემამულეთა ხელში შერჩენა, რადგანაც მსხვილი მემამულე უფრო ადვილად შეელევა მიწას, ვიდრე ის ადამიანი, რომელიც მიწის დამუშავებაზე საკუთარ ოფლსა ღვრის...

ამიტომ ჩვენც გულწრფელად მონატრული ვართ იმისი, რომ მიწა ახლანდელ მესაკუთრეებს მოშორდეს და ზეგენ მომუშავე სოფლელების ხელში გადვიდეს.

ამასვე ცდილობენ ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიებიც... აკი საამისოდ საშუალებაც მონახეს,—გლეხებს ურჩევდენ თავად-აზნაურების სოფლიდან განდევნას და მათ ადგილების მეკეთად დასაკუთრებას ეუბნებოდნენ!..

ასეთი „წართმევის ტაქტიკა“ ცხოვრებაში საზარალო გამოდგა. ამ ტაქტიკით ვლეხებმა მიწა ვერ დაისაკუთრეს, თავად-აზნაურობა კი გადაიმტერეს და ამით რევოლუციის ძალები შეასუსტეს.

ჩვენ სხვა გზას ვადგიგართ,—წართმევას არ თანავუგრძნობთ და ვამბობთ, რომ ახლანდელ მესაკუთრეებისაგან მიწა უნდა გამოისყიდოს ან სახელმწიფომ ან გლეხობამ. პირველ შემთხვევაში გამოსყიდვა სავალდებულოა, მეორე შემთხვევაში კი ნებაყოფლობაზე დამყარებული.

სავალდებულო გამოსყიდვის განხორციელება მხოლოდ საკანონმდებლო გზით შეიძლება, კანონმდე ლობა კი ჩვენ ხელთ არ არის და ამ გზა'ᲗᲐ დედგომა საუბედუროდ ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ არ შეგეძლია.

ᲐᲘᲢᲝᲛ გვᲐᲠᲬᲛᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ გამოსყიდვა, მყიდველ-გამყიდველის მორიგება, მიწიერის ჩვეულებრივი ყიდვა. ამას არც განსაკუთრებული კანონმდებლობა სჭირია, არც შემუშავებული პოლიტიკური პროგრამა,—საჭიროა მხოლოდ სურვილი და ამ საქმის მნიშვნელობის შეგნება.

ყოველნაირ საშუალებას უნდა მივმართოთ იმისთვის, რომ სოფლელებში მიწის შეძენის სურვილი აღვძრათ, რომ მესაკუთრეს მიწის გაყიდვის აუცილებლობა ეეჩვენოთ.

ჩვენი უბედურება ის არის, რომ ყოველთვის სხვის იმედითა ვართ, სხვისგან მოველით შველას, გვგონია, რომ თავისთავად გაკეთდება საქმე და ჩვენგან თითის განძრევეაც არ დასჭირდება.

მიწის საკითხის გადაწყვეტაშიაც ესევე უბედურება გვეტყობა,—ჩვენ თვითონ არაფრის გაკეთება არ გვინდა,—ახალ კანონმდებლობის იმედით ვრჩებით და იმედი გვაქვს, რომ მთავრობა, ახალ კანონების მიხედვით, ყველაფერს საუკეთესოდ მოაწყობს.

გვავიწყდება, რომ ადამიანის თავისუფალი მოქმედება ხშირად კანონებზედაც უფრო ძლიერია, და ამ თავისუფალ მოქმედებას მიწის საკითხში ხომ არაინ არ გვიშლის...

ასეთ თავისუფალ მოქმედების დასაწყისს ვხედავთ აკა-იქ, სხვათა შორის ხსენებულ საკითხშიაც,—ტფილისში დეპუტატთა საკრებულოსთან ე. წ. საადგილ მამულო კომისია მოქმედობს,—ამ კომისიას მიზნად აქვს შეამდგომლობა და შუაკაცობა ყველგან, სადაც სოფლელებს მიწის შეძენა სურთ და რამე მიზეზით მემამულეს თვითონ ვერ ურიგდებიან. ეს კომისია უფულოდ, ახალ კანონების გამოუცემლად, ამა თუ იმ პარტიულ დროშის გაუშლელად თავის დიდ ეროვნულ საქმეს ღღესაც განაგრძობს,—ეს საქმე ქართულ ეროვნებას ნიადაგს უმზადებს და ქართველ გლეხს უმიწაწყლო ბოგანოდ არ სტოვებს.

საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ ამ კომისიას. საჭიროა ასეთივე კომისიები მოვაწყოთ ქუთაისისკენაც, საჭიროა ამ კომისიებს თავიანთი აგენტები ჰყავდეს ყველა მაზრაში,—საჭიროა მათ საქმის სიღიადის შესაფარი თანხები ჰქონდეთ, რომ მიწების ერთი ხელიდან მეორე ხელში გადასვლა უფრო მალე და უფრო ადვილად მოხერხდეს.

ამასთან ერთად საჭიროა სოფლებში მიწების ყიდვა უფრო გახშირდეს, ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა ჩვენში მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა გულახდილად და გულწრფელად ურჩიონ ხალხს მიწის ძალით დასაკუთრებაზე ოცნებას თავი დაანებონ და მორიგების გზას დაადგენ. პოლიტიკურმა პარტიებმა ძირიანად უნდა ამოაგდონ ხალხის გულიდან ის თესლი, რომელიც ამ სამი წლის წინეთ ჩაყარეს...

მიწის სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია, რომელიც სხვა და სხვა პარტიების პროგრამაშია მოთავსებული, შეიძლება კარგი რამ იყოს, მაგრამ ცხოვრების დღევანდელ ვარამისათვის კი ყველა ზედმეტი და გამოუსადეგარია.

ეს მუნიციპალიზაცია და სოციალიზაცია ცხოვრებაში როდის შემოვა,—არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ სოფლის გლეხობას ღღესვე, ახლავე სჭირია მიწა და ამ მუნიციპალიზაციას ვერ მოუცდის.

ღღესვე, ახლავე მხოლოდ ყიდვით შეიძლება საქმის მოწყობა, ყიდვა კი არ მოხერხდება იქ, სადაც პარტიები ხალხს არწმუნებენ **მუქთად მოგიგვთ** მიწაო.

მუქთაობის მოლოდინში გლეხი ღღესაც ხშირად მიწის ყიდვას გაურბის ტ მესაკუთრე—რაკი მამულის შემოსავალმა იკლო და ფული კი სჭირია,—უცხო ტომზე ჰყიდის თავის მიწას ან აძლევს მას სახელმწიფო საადგილმამულო ან საგლეხო ბანკს, რომელიც თავის მხრივ ისევ უცხო ტომელებისთვის ცდილობს ტერიტორიის შეძენას.

ეს კითხვა მეტად მნიშვნელოვანია,—საჭიროა ჩვენში მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა ამაზე ხმა ამოიღონ, საჭიროა ქართული გაზეთების ფურცლებზე გამოცხადდეს მათი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს გლეხი—**იყიდოს** მამული თუ მუქთად მის **დასაკუთრებას უცადოს!**?..

ჩვენ ვამბობთ—პარტიებმა ამ საკითხის შესახებ თავიანთი აზრი უნდა გამოთქვან, ნამდვილად კი მათგან იმდენ გამბედაობას და გულახდილობას არ ველით, რომ აშკარად და გარკვევით გაგვაგებინონ ჩვენ და გაგებინონ ხალხს თავიანთი შეხედულობა...

არა გვგონია გადაჭრით გვითხრან რა არის ქართველ ერისთვის ამ ჟამად მიწის საკითხში უფრო სასარგებლო და საჭირო:

ყიდვა თუ ძალით დასაკუთრება?

კ. თუმანიშვილი.

ᲤᲘᲥᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲗᲐ.

(დასასრული. იხ. № 1).

შეიძლება მოვიპოვოთ ეს თავისუფლება?

თავისუფლება ყოველთვის და ყველგან სანატრელია, ვინაიდგან თავისუფლება თვითონ არის უზენაესი ბედნიერება. მაგრამ ეროვნული თავისუფლება ყველგან შესაძლებელი კი არ არის. ამას ამტკიცებს ეხლანდელი მდგომარეობა ევროპელებისა. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ის პირობები რომლებიც აუცილებელი არიან ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს პირობები ზოგლოდ ორია: ერთეულება ეროვნული და ტერიტორიული.

ორივე ეს პირობა საქართველოში ნათლად არის დაცული.

ქართველი ერი ერთია: კახელი, ქართველი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ჯავახეთი, იმერეული, აჭარელი, მეგრელი, გურული და სვანი, ყველა ქართველია, ყველას უდის ქართული სისხლი, ყველა ლაპარაკობს ქართულ ენაზე, ყველას ერთად გამოუვლია წარსული საუკუნეებში ერთი და იგივე სიხარული თუ უბედურება, დღეს ყველა ერთ ტაფაში იწვის და ყველას უღვიძია ან უნდა-უღვიოდეს გულში ერთნაირი მისწრაფება—კულტურული თავისუფლება.

აგრეთვე—კახეთი, ქართლი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ჯავახეთი, აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი და აფხაზეთი ერთი მთლიანი ქვეყანაა—საქართველო. ამ ტერიტორიაზე ჰცხოვრობს ერთი ერი—ქართველობა. მთელ დასავლეთ საქართველოში მხოლოდ 4 ან 3 ი არის უცხო ტომის ელემენტი. აღმოსავლეთ საქართველოში ქართველების რიცხვი უფრო ნაკლებია, თითქმის არ აღემატება ნახევარს ყველა მცხოვრებისა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სომხები, რომელთა რიცხვი თითქმის ერთს მეხუთედს შეადგენს აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი ხანია ჩვენთან არიან, ჩვენთან ცხოვრობენ, შეითვისეს ქართული ენა და ზნე-ჩვეულება. აგრეთვე ოსები და ებრაელებიც. ერცელი დემოკრატიული წესწყობილება იმათთვის ისევე სასარგებლოა, როგორც ჩვენთვის.

ჩვენ ჩვენის ნებით და თავისუფალი ხელშეკრულობით რუსეთს შემოვუერთდეთ და ამითი გადავწყვიტეთ მთელი საქართველოს ბედი. ჩვენ არ დავკარგეთ ბედი ერთ ადგილ ან ოსებს. საქართველოს ბედი გადაწყდა, როგორც ბედი საქართველოსი; ეხლაც საქართველო უნდა აღდგეს და განახლდეს, როგორც საქართველო, მიუხედავად იმისა, თუ რას იტყვიან ამაზე სომხები ან ებრაელები. ჩვენ ყველასთან ძმობა გვინდა, მომავალ საქართველოში ყველა უნდა იყოს თავისუფალი და თანასწორი, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, რომ ყველ მ, სომეხია იგი, ებრაელია თუ გერმანელი, მხარი დაგვიჭიროს და ჩვენს მისწრაფებაში გაგვიწიოს ნამდვილი ძმობა. ვინც ამის წინააღმდეგია, იგი ჩვენი მტერია, და ვინც სიტყვით ან საქმით წინ ეღობება საქართველოს კულტურულ თავისუფლებას, იმასთან ბრძოლაც, სამწუხაროდ, აუცილებელი იქნება.

ამ ნაირად საქართველო წარმოადგენს ეროვნულს და ტერიტორიულს ერთეულს. ასეთ ქვეყნებში ხალხმა აუცილებლად უნდა შეიძინოს ზემო განსაზღვრული თავისუფლება.

როგორ მოვიპოვოთ ეს თავისუფლება.

ზოგი გატაცებული და გულწრფელი მამულისშვილი ამბობს, რომ საქართველოს გეოგრაფიულად ისეთი ადგილი უჭირავს და მსოფლიო მოძრაობა ისე მიმეინარეობსო, რომ ჩვენი ქვეყნიდან უნდა შესდგეს სრულებით დამოუკიდებელი სახელმწიფოო. შეიძლება ეს აზრი მართალი იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც წინააღმდეგი ვარ ამისი.

ერთი იმიტომ, რომ სრულებით დამოუკიდებლობა ჩვენთისვის არ არის საჭირო და არც იქნება სასარგებლო.

მეორედ იმ-ტომ, რომ ამისთანა მისწრაფება ეწინააღმდეგება რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას. ჩვენ თუ არ ავასრულებთ ამ ხელშეკრულების, რა პირით უნდა მოესთხოვოთ რუსეთს, რომ მან აასრულოს თავისთავზე მიღებული ვალდებულება?!

არა. ჩვენ ბაირაღად უნდა გავშალოთ საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულება 1783 წლისა, რომელსაც დღემდე სრული უფლებრივი ძალა აქვს და რომლის გაუქმება კანონიერად შეუძლებელია. იმაში არის გამოხატული ნება საქართველოსა და ნება რუსეთისა. იქ არის რამოდენიმე მუხლი, რომლის სუბიექტი თვითონ საქართველოს ერია. ასეთი არის **მუხლი მეორე** რომლის ძალით რუსეთი ვალდებულია დაიცვას ხელშეუხებლად და შეუმცირებლად საქართველოს ტერიტორია, და **მუხლი მეექვსე** რომლის ძალით საქართველოს უნდა დაეთმოს ხელ-შეუხებლად „**სრული უფლება საქართველოს შინაგან საქმეთა საწარმოებლად, სამართალი და გამგეობა, და გადასახადის მოკრება თავისდა სასარგებლოდ!**“ ეს სწორედ ის თავისუფლებაა, რომელზედაც ზემო მოგახსენებდით. ეს თავისუფლება ჩვენთვის საკმარისია და ამისი მოთხოვნა სრულებით კანონიერია.

რა ტაქტიკას უნდა დავადგეთ?

ტაქტიკა უნდა იყოს კანონიერი, ლეგალური. კაცის კვლა, ძარცვა-გლეჯა და ავკაცობა წინ ვერ წაგვიყვანს. ვერც საერთო აჯანყება მოგვიტანს სარგებლობას. მაშასადამე დაგვრჩენია სახელმწიფო სათათბირო და საერთაშორისო პოლიტიკა.

ყოველ ქალაქში და სოფელში უნდა დაარსდეს კომიტეტები; მთელი საქართველო უნდა მოიფინოს ერთი დიდი ეროვნული ორგანიზაციით და მთელი ერი გაიმსჭვალოს ეროვნულის იდეალით.

სახელმწიფო სათათბიროში უნდა იქმნას გაგზავნილი საქართველოს წარმომადგენელი, ჩვენი ეროვნული უფლება უნდა იქმნას გამოფენილი ქვეყნიერების წინაშე და დაცული ისე, როგორც შეეფერება ჩვენს მაღალს და კეთილშობილ მისწრაფებას.

ეს ჩვენი მოთხოვნა უნდა გავიტანოთ ევროპაში და გავხადოდ საერთაშორისო საკითხავად.

რუსეთის ინტერესები.

საქართველოს ასეთი თავისუფლება რუსეთისათვისაც უფრო საინტერესოა და სასარგებლო. რუსეთს, როგორც ყოველ სახელმწიფოს, უნდა ჯარი და ფული. ამის წინააღმდეგი ბევ ვინ იქნებაზ ასეთი საკითხები, თუ ვინა გვეყოფს ჩვენ უფროსად ამა თუ იმ მაზრაში, ან ვინ ამოვირჩიეთ მამასახლისად ამა თუ იმ სოფელში—რუსეთს სრულებით არ შეეხება. სასამართლო, პოლიცია, ეკლესია, მიწათ მფლობელობა, ხალხის განათლება და ასეთი სხვა კითხვები—მხოლოდ ჩვენნი, შინაური საქმეა და მათი ასე თუ ისე მოწყობა რუსეთის ინტერესებსსრულებით არ ეწინააღმდეგება.

პირიქით, საქართველოს თვითმართველობა დიდ სახელს გაუთქვამს რუსეთს მთელს აღმოსავლეთში. რუსეთი აღმოსავლეთისაკენ იწევა. მიდის მცირე ეზაში და ოდესმე უნდა შეიძინოს გასავალი ინდოეთის ოკეანეში. ამ მოძრაობისთვის საჭიროა რუსეთმა გაითქვას სახელი თავისუფალ სახელმწიფოსი, **უნდ** დაიმსახუროს სიყვარული და ნდობა აღმოსავლეთის ერებისა, რომლებიც უფრო შუსულმანები არიან. ამის მიხედვით საქართველოს თავისუფლება დიდ სახელს გაუთქვამს რუსეთს და ასწევს მის პრესტიჟს აღმოსავლეთში. ამავე დროს საქართველო გახდება მართლა სიმიდო ბაზა მთელი რუსეთის სამერმისო მოძრაობისაღმოსავლეთში.

ეს პერსპექტივა ისეთი დიდმნიშვნელოვანია, რომ მან არ იქნება ზედგავლენა არ იქონიოს რუსეთის შეგნებულ პოლიტიკაზე.

გიორგი გვაზავა

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

—

სამმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ჩვენს ცხოვრებაში როგორც გარეთ, აგრეთვე შინ საშინელი ბრძოლაასტყდა, რომელიც დღესაც არ დასრულებულა და რომლის სიცხოველე ჯერ სრულად არ განელებულა. ამ სამი წლის განმავლობაში ბევრი მეგობარი მოვიმდურეთ და ბევრი მტერი შევიძინეთ, მაგრამ კვლავ მედგრათ და თავგანწირულად მასვე ვემსახურებთ, რაც თავიდანვე გვწამდა.

ჩავუკვირდეთ ცოტაოდნად ამ ბრძოლის მსვლელობას და ჩვენს თანამედროვე ავკარგს. ეს მეტად საინტერესო საგანია.

როდესაც ძალიერი სახალხო მოძრაობა აბობოკრდა მთელს რუსეთში, ჩვენებიც უეცრად აეკიკეკენ. ბევრი მელანი და ქაღალდი დახარჯეს, ბევრი ლამაზი სიტყვა წარმოსთქვეს; ამ ლამაზ სიტყვას საქმე რომ დაეუბრალდაბრალო, ამით ადვილათ შეეძლებთ ჩვენებურ ქართულ „საქმიანობის“ დახასიათებას.

საქართველო პროპაგანდისტების პირში ერთგვარ კუთხეთ იქცა, რომელიც დიდძალ ფაბრიკებით **და** „ზავოდებით“ სავსეა, ქართველი მიწის მშრომელი ხალხი პროლეტარ მუშად იქმნა წარმოდგენილი **და** ლოზუნგათ „პროლეტარიატის გამარჯვება“ გამოცხადდა.

მარქსი, ენგელსი, მათი სახარება და... გაჩაღდა ბრძოლა „კლასობრივ“ ნიადაგზე... აირია მონასტერი...

ჩვენ არც მაშინ გვითქვამს, პროლეტარი ნუ გაიმარჯვებსო, **ამას** არც ეხლა მოგახსენებთ, **ზაგრამ** ამ გვარ ბლღოლის ჩვენში ნიადაგი არა ქმნდა და ჯერჯერობით არა აქვს.

ყოველივე ჩვენი ფეხის გადადგმა მონური მიმბაძველობა იყო რუსეთის ცხოვრებისადმი, ჩვენი ეკონომიურ-გაზეთობა სავსე იყო რუსეთის ამბებით, თითქოს ჩვენი საკუთარი ცხოვრება ან სრულიად შეწყვეტილიყო, ან ჩვენი ხალხისთვის საკუთრივ არაფერი საჭირო არ იყო.

ეს ისეთი თვალსაჩინო მოვლენა გახლდათ, რომ ძალაუნებურად იქცევდა უცხოელების და ჩვენი მეზობლების ყურადღებასაც კი.

ჩვენები კი ისევ თავისას გაიძახოდენ და სადღაც უფსკრულისკენ მიექანებოდენ.

მთელს ქვეყანაზე არ მოიპოვება ისეთი პარტია არც სოციალდემოკრატული და არც სხვაგვარი, რომელიც ისეთის უარყოფით ეკიდებოდეს ნაციონალურ კითხვას, როგორც ჩვენი, ქართული სოციალ-დემოკრატია.

ეს პარტია გაფიფრებული ომობდა და ხალხს არწმუნებდა, ნაციონალისტსა, აზნაურსა და ჯაშუშს შორის არაფითარი განსხვავება არ არსებობსო! როგორც პირველნი, აგრეთვე მეორენი ქვეყნის გამყიდველნი არიანო.

ამგვარ პოლიტიკურ მონობას და ყურმოჭრილ მორჩილებას- ბევრი სა-ბედნიერო შედეგი მოჰყვა, ისე რომ ჩვენი ერი ჯერაც გონს ვერ მოსულა იმ ჯრის და ვარამისაგან, რომელიც მან ამ უკანასკნელ წლებში გამოიარა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ერთის მხრით ყოველივე, რაც ამ ასის წლის განმავლობაში მოხდა და მეორეს მხრით, რაც ამ სამის წლის განმავლობაში წარსულს ზედ დაერთო, ხრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენს ცხოვრებას ჩავუფიქრდეთ და მის შესაფერად ვეძიოთ გზები ჩვენის კულტურული აყვავებისა და წარმატებისათვისა.

რუსეთის მოძრაობა, რომელიც ამ ჟამად ტანჯულ დღეებს განიცდის, მთელის თავის საშინელებით ჩვენს ხალხს დაატყდა თავს და ‘ვმდგეგზიაც, ალბად, ყველაზედ უფრო ჩვენზედ იყრიან ჯავრს, თუმცა ჩვენ მიტინგებზედ ბუტყელ-ბუტყელ სიტყვების მეტი და ძმა ძმაზედ გადაკიდების მეტი თითქმის არაფერი, არა გაგვიკეთებია...

ჩვენ არამც თუ თაგვი ვერ დავიჭირეთ, თვით მახვრი გავებით და ისე ამ გვარად დავამთავრეთ ჩვენებური „პოლიტიკური და ეკონომიური“ ბრძოლა.

ამისათვის დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ახალ ქართულ უპარტიო ორგანოს გაზ. „ივერიის“, გამოსვლა, რომელსაც მიზნათ ექნება ქართულ ცხოვრების გადასინჯვა, ქართველ ერის მომავლის გათვალისწინება, ძველ შეცდომების შეგნება და ახალი გზის გაკეთება.

ქართველების პოლიტიკურ მოქმედების გეგმა უნაყოფო გამოდგა და ამისთვის იგი ერთიანათ შეცვლილი უნდა იყვეს.

ჩვენ თამამად უნ ა აღვიაროთ ჩვენი ცოდვები და თამამად ღავადგეთ იმ გზას რომელიც მიგვაჩნია საუკეთესოდ ჩვენი ერის ბედნიერ მომავლისათვის.

ამისთვის მუდამ სახეში უნდა ვიქონიოთ რუსეთთან ხელშეკრულობის პირობები, რომელნიც კულტურულ დამოუკიდებლობის სრულ უფლებას გვაძლევენ.

ეს ისტორიული საბუთი უნდა გავაცოცხლოთ, სული ჩაგბეროთ, რომ კვლავ მაინც ისტორიის წინაშე ღირსი გავხდეთ ერის სახელისა.

ასის წლის გამოცდილებით უნდა ვისარგებლოთ და ჩვენს ცხოვრებას ის მიმართულება უნდა მივცეთ, რომელიც ჩვენ ისტორიამ გვიანდერძა, თუ კეშმარიტათ გვინდა ოდესმე ჩვენ შიაც დადი საკაცობრიო იდეალები განვახორციელოთ.

ჩვენ ჩვენს მიწა-სყალს ვერსად ვერ გავიქცევთო, ჩვენი ბედი ისევ აქ, ჩვენ საამბოლო ტერიტორიაზედ უნდა გადაწყდეს.

ჩვენი ძალა და გონება ამ მხარეს უნდა შეეალიოთ.

მხათ უნდა ვიყოთ მედგრათ დაიცვათ ის, რაც ჩვენ წინაპართ ჩვენთვის ჩაებარებიათ და შეკეთებულ გამშვენიერებული მომავალ თაობას გადავცეთ.

ყველა ამას უნდა ემსახურებოდეს, ჩვენის აზრით, ახალი „ივერია“ და ამ მხრით ჩვენ თამამათ შეგვძლია მას გზა დავუსოოთ.

აბისელი.

---

*
* *

რათ სტირი, დედავ, ყოველ ახალწელს,
მე ვენაცვალე შენ ლამაზ თვალებს,
მითხარი, დედავ, სურათს მამისას
ამ დღე? რათ აფენ ტურფა ყვავილებს?
— გინდა იცოდე? მაშ გეტყვი, შვილო.
ეს ყვავილები მისი გულია,
ის სამშობლოსთვის, ტანჯულ ერისთვის,
ახალ ბედისთვის შეწირულია!
მოკვდა ბრძოლაში, მან იქა ჰპოვა
თვისი საფლავი, თავისი ბინა,
გიყვარდეს, შვილო, ტანჯული ერი—
უკანასკნელად ამოიგმინა!
გაჩუმდა დედა, გაჩუმდა შვილი
იქ ორი გული ერთისთვის სტვენდა,
ახალი წელი, ახალი წელი,
სამშობლოსთვის კი კვლავ ქვეული სვენდ!
ორნივე ამ ერთს ჭგრძობდენ, ფიქრობ-
დენ
შვილმა მოკუმა პაწა ხელები
და მშობელმა კი, ვით მამის სურათს,
გარს შემოუწყო შვილს ყვავილები!

ი. ევდოშვილი.

ᲐᲛᲐᲡ—ᲘᲛᲐᲡ, ᲘᲛᲐᲡ—ᲐᲛᲐᲡ.

*
* *

მხიარულს გუნებაზე ავიღე კალამი, მაგრამ მწუხარებით კი დაეშვა ძირს. დაეშვა ძირს ბაირაღი სოხუმისაც. შეიქმნა გლოვა და გოდება, ტირილი და ქვითინი. შაილ ღრუბლებით მოიჩითო შაილს ზღვის კიდით-კიდური, და ტალღები ცრემლის ზხეფფბათ ესხურებოდენ ქალაქის თვითმართველობის დაობლებულს ციხე დარბაზს: „აღარა გვყავს“ მოსთქვამდენ სოხუმელნი, „გაშმა!“ ითოკ-დენ თავ-პირს მოქალაქენი!

მართლაც ხუმრობა არ იყო; ღღესა ერთსა, რომელსა ისტორიასა შიგან მოიხსენიებს მოსე ჯანაშვილიკ, აღვიდა სოხუმის სამრეკლოზე ნ. თავდმირიძე და სთქვა სიტყვა ასეთი:

„გულსა შიგან ჩემსა ვგრძნობ, რომ ქალაქისათვის ზარალი მომაქვს, ზარალი მომაქვს იმიტომ, რომ დაბეზღებანი, რომლებიც უმრავლესი უმრავლესია ჩემს შესახებ სადაც ჯერ-არს წარდგენილი, ქალაქის ინტერესებისათვის საზარალოა. მე დრო არა მაქს ყური ვუგდო ქალაქის საქმეებს, რადგან იძულებული ვარ მთელი დრო მოვანდომო მობეზღართა პასუხის გაცემას, მათის „დანოსების“ გაბათილებას. ქალაქის ყოველივე პროგრესიული საქმე ფერხდება მიტომ და მხოლოდ მიტომ, რო მე ვდგევარ მის თვითმართველობის სათავეში. მაშ ეძებეთ და იპოვეთ ჩემს მაგიერი სხვა ვინ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მე, იქნებ ის ჩემზე უფრო ბედნიერი გამოდგებოდა“.

სანქვა ეს ბ-მა თავდგირიძემ და მოეხსნა სოხუმს კისრიდან. როგორ მოუვლიან სოხუმელები ქალაქს უთავდგირი ძროთ ეს სულ სვა საკითხია, მაგრამ ბ-ნმა თავდგირიძემ კი მართლაც დიდი სიგმირე გამოიჩინა გულ-ფრფელის ალა რებით: მას არ ეცალა ქალაქის საქმეებისთვის, რადგან „ულიანუზ საქმეებს“ ანდომებდა თავის დროს. ამ „საქმეებს“ ანდომებდა დროს რემდენიმე წლის განმავლობაში და როცა მიხედა, რომ ქალაქის თავის მოვალეობა სულ სხვაა და „დანოსჩიკების“ ყოლა სულ სხვა, ის განშორდა კიდეც თვის თანამდებობას.

მან თვისი პირადი სარგებლობა შესწირა გულ-ფრფელობას, რაც ასე იშვიათია ქალაქის თავთა შორის.

ღმერთო მაღალო, ალირსე სასუფეველი შენი დანარჩენ ქალაქის მამებისაც!

* * *

ჟეო ღვთისაო, აკმარე ტანჯვა მონასა შენსა პაველ აკობისასაც! მოასვენე იგი კოლოფსა შიგან თვისსა და ნუ ოდენ მისცემ მას საწამებლათ ურჯულოთა მათ, რომელნი ვითარცა ორბნი მთისანი წიწილსა ზედა მიიწევიან, ღაყთა ეკერცხოა შიგან მომშთვალ არს კოფოვნებითთა თვისითა აწ და მარადის და წერა-კითხვის საზოგადოების შემდეგ კრებამდე. ამინ!

დიახ ლოცვა ესე გასჭრის ქ. შ. წ კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების შემდეგ კრებამდე, მაშინ კი კვლავ ბ-ნ პაველს დაესვენან. ორბნი მთისანი, ფრთეთა თვისთა დაჭკრავენ თიკანს ვითარცა ლომსა კლაჭვენსა. ასეთი იყო ორ ბანაკთა ბრძოლა საზოგადოების წარსულ კვირის კრებაზედაც

პაველ აკობია გახდა საზოგადოების პროგრამის ერთი უპირველეს-პარაგრაფად. მან გააცოცხლა კრება, მან ჩაუდგა სული ორატორებს. პ. აკობია რომ არა ყოფილიყო, არაფერიც არა იქნებოდარა. თვის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია სავსე საქმეთა შესახებ გამგეობამ უკანვე წაიღო, ხოლო დარჩა პ. აკობია და დარწმუნებული იყავით, ის დარჩება საზოგადოების შემდეგ კრების ერთ უმწეველ კითხვათ. ბედნიერი ხარ, ძმაო პაველ, მოცლილებს ყოველთვის შენთვის სცალიანთ!

ამ გვარათ ვერ გადასწყვიტეს საკითხი ნება აქვს თუ არა პაველს ბირეზე თვისი ობლიგაციების გამოშვებისა, მოპირდაპირე ორატორნი „პრინციპიალურათ“ შეიტაკენ; ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი. „მზე ერთია, მაგრამ შუქს ყოველგან ჰფენს ცენტრიდამ, იყოს მზე გამგეობა საზოგადოებისა“. ყიოდენ ტარიელნი. „ღმერთი ერთია, ხოლო სამპირნოანნი: მამა, ძე და სული წმინდა ე. ი. ჰაოსი, ლეკოსი და ქარ-თლოსიო“ უპირდაპირებდენ ტარიელებს ყათრან-ყარამნები. როგორც ჯერ-დავთ ორივენი მართლები არიან, ვინაიდგან ჯერ-ჯერობით მაინც არაა უარ-ყოფელი მზის ერთად-ერთობა. ამიტომ ორივე ბანაკი, მტკიცეთ დარწმუნებული თვის „პრინციპის“ შეურყეველობაში, აღელვებული დაიშალა, ხოლო მშვიდობიანათ დარჩა მაგიდაზე „ვედრო“ დანაყილი წყლით.

* * *

როგორც დარჩა და დარჩება მსახიობ ქალის ნ. ცაგარლის 25 წლის იუბილეიმ დრომდე, ვიდრე თავდა-ახნავერობა მეყსეულოთ არ გამოუცვლის გუშმათის ქართულ თეატს. ინუგეშე შენც, ქ-ნო ნატო, ეს ისე გვიან არ მოხდება, როგორც შენ გგონია. ი ნაცაა მოვა გაზაფხული, დადგება ხანა განახლებისა და შესდგება ახალი კომისია.

სანატრელი დროა გაზაფხული; ვარდი იფურჩქნება, ბულბული გალობს, ტრ[illegible]ი ღუღუნებს, ჭია ცუცუნებს და გულსაც რაღაც ბაგა-ბუგი გაეკვს. რაღაც უნდა, რაღაცას ითხოვს; ის ითხოვს კვლავ „ნინიკო ხინკიკოს, დრაჰტი გუშას, ისევდა ისევ ღვინითაო“ და სხვა...

ხოლო რადგანაც გული მას ითხოვს მისთვის საპიროა ქანქარი, ქანქარისათვის კი საპიროა, რომ შესდგეს თეატრის საიუბილეშენებელო კომისია. დანარჩენი სულ ადვილია: ვერაზე „ედემი“, ორთაჭალაში „პროშტის ბაღი“ იქაც კომისია—აქაც კომისია; ქეიფი მისია—ფული სხვისა!

არც პრესა ყოფილა მოკლებული ამ გვარ კომისიებს. ეს მე წარსულ ორშაბათის №-შივე გამოვთქვი. გავიმეორებ ესლაც, რო გაზეთი „ჩვენი ხმა“ არაგითარ „კალიაზხურ“ წერილებს არ ეარდება, ოღონდ კი ქანქარი იშოოს. მას მთელი განყოფილება აქვს ყოველ ნომერში დათმობილი, ზოგს წერილში (თუ გამიკვირვეულ ხარ მოგახსენებთ) თუ-მენს აძლევენ, ზოგში 50 მანეთს. მისი ნამუსი მეტს ვერ ასცილებია. წარსული კვირის ხუთშაბათის ნომერში „ცხენისა და ეგზარის“ საქმესაც კი არჩევს, რადგან „საქმის გასარჩევათ“ თუმნით დაუიმედებიათ. ამგვარ წერილებით გაზეთი სამ საქმეს იკეთებს: ჯერ ერთი, რო იძენს ქანქარს, მეორე, რო საფანელ შემოკლებული ამ გვარ წერილებით ავსებს გაზეთს, ვინაიდგან ბედაურები დაიბოკ-ცენ და იმათ დარჩათ მოედანი, მესამეც ის რო თავს ირთობენ, „ულიაოზ-ბით“, როგორც ეს ჩვენულებათ აქვთ გაუთხოვარ, ბებერ-შემომწყოდ ქალებს. აი, ამ ჩვენ ადგილას წამოვკარ წკეტილი დელიაანტების და იმათ კი ქეჩა მოინახეს. იქნება მათ ეს ორი ადგილი ატავიზმის გამო ერთათ გამოგბათ! ან რათ ეწყინათ მათ, როდესაც „თბილისის ფურნალისტების საზოგადოების“ კაკაფონია აეწერა? იქნებ ვინმე თქვენგანს ეა ფურო კი თქვენს „მეპრესეს“ გულს ჩასწვდა ისარი? გარწმუნებთ, სარკეს რომ არ ირთქლებდეთ ყოველ დილა, და სუფთა შუშაში იხედებოდეთ, თავს არ გამოჰყოფდით გარეთ!

* * *

და დიამალებოდით ისე, ვითარცა მიმალულან გ. დეკანოზოვი და ი. ზუთაბიშვილი. ყვა ს აგერ რამდენიმე წელი წყდა „კრიტიკოსი“ კიტი აბაშიძე და დაეძებს მოპასან—დეკანოზოვს და ზოლა-ზუთაბიშვილს. ყიოის და ვერ უპოვია. აღმოაჩინა, გვამცნო, შეგვიტყობინა და გაგვიკვრენ! გაგვიკვრენ ისე, როგორც გამერალ არიან ჭრაქნი „კრიტიკოსი სანი“. მაგრამ ცოტა არ იყოს, ქართველ სიტყვა კაზმულ მწერლობის მოტრფიალეთ ექვი აქვთ მათს მიმალვაში. ექვი აქვთ თვით კ. აბაშიძეზე. მასა სწამებენ მესაფლაობას, ზოგნიც ეშინ ავტელენენ შავი ქვის საკრეში დასწვაო.

ოოხ, რა უყავ და სად წარიღე შენმიერ აღმოჩენილი ორი ოქროს მადანი ბ-ნო კიტა! „მეგობრობისა“ წვერვალსა ზედა აღტაცილნი „სუბუქსა“ კალმის ფრთითა შენითა, რა[illegible] ჩანანარცხეა ქვესკნელსა შიგან საუნჯენი შენნი!?.

ი. ევდოშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება დღეს არ შესდგება იმის გამო, რომ ხმოსნები მოსკოვის უნივერსიტეტის დღესასწაულს უქმობენ: ქურდს რა უნდოდა და ბნელი ღამეო!

◆ დღეს, 12 იანვარს, ტფილისის საკომერციო სასწავლებლის შენობაში სახლზო კუოსები იხსნება.

◆ ტფილისის ქალაქის საამშენებლო განყოფილებაში 32 კაცმა გაინაწილა წლის განმავლობაში შეგროვილი 277 მ. 2 კ. თითოს 8 მანეთამდის შეხვდა: იტალიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ რისიმე გადადებაზე უარი განაკეთდეს,—ჩვენი ცხოვრება ჩვენვე ვკამდოთ!..

◆ ოთხშაბათს, 14 იანვარს, ქართულ თეატრში ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა „მეგობრობა“

◆ **ქ-ნ ვან-ბრანდის გასტროლები.** ტფილისის სახაზინო თეატრის ოპერაში დიიწყო 7 იანვარს გასტროლები კარგათ ცნობილ როგორც ტფილისში, აგრეთვე საზღვარ-გარეთ მომდერალ ქალის ვან-ბრანდისა. 7 იანვარს წარმოდგენილი იყო ოპერა „ლაკმე“ 10 იანვარს „ტრავიატა“ თეატრი ხალხით გაჭედილი იყო.

◆ როგორც მკითხველებმა იციან თავადი ვ. ს. მიქელაძე ტფილისის სამეურნეო ბანკის ყოფილი თავმჯდომარე და აგრეთვე ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი პეტერბურგში ახალ ბანკის დირექტორად აირჩიეს. როგორც გადმოგვცემენ, ვ. მიქელაძეს, რომელიც 2 დეკემბრიდან ამ ბანკის დირექტორად არის, ტფილისის სამეურნეო ბანკიდან ჯამაგირი მარტამდის მუთხოვია და პენსია წლიურად 1200 მან. ხმოსნობაზე კი ბ. მიქელაძე ხელს არ იღებს და ქალაქის „მამად“ რჩება; ხანდახან ჩამოვალ ტფილისში და საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებო.

◆ ტფილისის გუბერნატორი აცხადებს, რომ იანიღის შესახებ მთხოვნელებმა უნდა მიმართონ პირადათ მის კანცელარიაში სტრაფის უფროსს საშაბათობით და პარასკეობით 1-3½ საათამდის.

◆ ამ დღეებში ტფილისში დაიწყება ავტომობილების მიმოსვლა საქონლის გადასატანად.

◆ პეტერბურგიდან ბ. ზდანოვიჩი ატყობინება, რომ ახლად გადაწყვეტილი ტარიფის შემცირება 1½ კაპიკით შავი ქვის გადატანაზე ჭიათურიდან შორაპნამდის შემოღებული იქნება 7 თებერვლიდან.

◆ მიხეილ ქუთათელაძე, ქუთაისის საგუბერნიო სასუსლო მზრუნველი კომიტეტის დირექტორმა, მიიღო მეორე ნარისხის ანნას ორდენი.

◆ 10 იანვარს ბორჯომში აქაურმა სესმოგრაფიულმა სადგურმა აღნიშნა, რომ სადღაც დიდი მიწის ძვრა უნდა მომხდარიყოს.

◆ გუშინ, 11 იანვარს, კავკაზიის ნამესნიკი გრაფი ი. ი. ვორანცოვი-დაშკოვი, თავის მეუღლითურთ, და რამდენიმე ახლობელი პირის თანხლებით სასახლიდან სახაზინო თეატრამდის გალავინის ქუჩაში ფეხით გაისეირნეს ღა დაბრუნდენ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ნამესტნიკს.

◆ დღეს, 12 დეკემბერს, ტატიანის დღესასწაულის დღეს კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება ტფილისის სახაზინო თეატრში წარმოდგენას გამართავს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ოპერის და დრამატიულ საზოგადოების არტისტები. წარმოდგენის პროგრამა საინტერესოთ შედგენილია და რამდენიმე განყოფილებისაგან შესდგება. სხვათა შორის „მალოროსიელი ვოდევილი და კაფეშანტანია. წარმოდგენის შემდეგ ტფილისის კრუჟოკის დარბაზში გაიმართება საეკეკვავო საღამო; დდდგმული იქნება სპოპერო სკენები.

◆ 10 იანვარს ქ. ტფილისში **დაატუსაღეს:** 1) მამედ ხან ოღლი, ბრალდება იარაღის ნებადაურთველად ტარება. 2) სარქის ზალი ოღლი, ბრალდება ცოლის დაჭრა. 3) მარქარ სარქისოვი, ბრალდება 4 თვის ბავშვის მოკვლა და სასაფლაოზე დამარხვა.

◆ **გაქურდეს:** პეტრეპავლეს ეკლესია, წაიღეს 3 მანეთი და ხალიჩა. 2) მაქსიმე კოკაშვილი წაიღეს 6 მ. 25 კ. ნივთები.

◆ **ცეცხლი გაჩნდა;** მასწავლებლის ირემეია გულისაშვილის, სახლში. ზარალი 300 მან.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ

ᲪᲔᲢᲜᲘᲜᲘ. გარეშე პოლიტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩერნოგორელები მეშიერთ არიან დაკავშირებული ბოსნეთ ისა და ჰერცოგოვინის ბედთან. წინეთ ჩერნოგორელებს ამ უკანასკნელთათვის არა ერთხელ გაუწევიათ დახმარება. ამ ორ პროვინციის ავსტრიის ხელში გადასვლამ აიღელვა ჩერნოგორელები, ეტაკებაც მოხდებოდა, ეკრძალა რომ არ ჩარეულიყო საქმეში. ახლა ჩერნოგორელები ნდობით ელიან კონფერენციას და დარწმუნებულია არიან, რომ ამ კონფერენციაში მონაწილე ევროპის სახელმწიფოები სერბებს ერთგულ სიკვდილს არ ისურვებენს. ამ პროვინციებს სერბებისთვის ისეთივე ზნეშნველობა აქვს, როგორც აქვს მაგ. მოსკოვის გუბერნიას რუსებისთვის. ავსტრიას ფიქრით თუ უნდა ამ პროვინციების შერჩენა, სერბებს მეტი უფლება აქვთ ეს ფული გადაიხადონ ბოსნეთსა და ჰერცოგოვინისათვის, რომ ეს ორი პროვინცია ან სერბებსავე შეეურთდეს ან ცალკე დამოუკიდებელ ავტონომიურ ერთეულად გამოცხადდეს.

სკუპშინამ მოიწონა მინისტრის სიტყვა და მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში ფონ-შვნმა მოხსენება წარადგინა დიპლომატიურ სამსახურის შესახებ: მისის აზრით მთავრობამ რამე რეალური ზომები უნ[illegible] მიიღოს პრუსსის საწინააღმეგოდ იქ, სადაც ამას სახელმწიფოს გარეშე პოლიტიკა მოითხოვს. ფონ-შვნმა გამოაცხადა,—ჯორნი, ვითომ გერმანიის თავვრობა თავის ელჩებს სურ-ვილზე იცვლის იმმართულებას გარეშე პოლიტიკაში, პირიქით ელჩები ყოველთვის ემორჩილებიან ცენტრალურ მთავრობის ყოველ განკარგულებას. ამიტომ პოლიტიკის, მიმართულებაში მხოლოდ ცენტრალურ მთავრობა კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას.

ᲒᲐᲒᲖᲐ. სენატორმა ფონ-ეგეკერნმ ინგლისის და გერმანიის თავვრობას შეეკითხა წარ-უდგინა იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგენან ისინი იმ შემთხვევაში, ნიდერლანდების დამოკიდებლობა ოსმანობის დროს რამე საფრთხეში თუ ჩავარდა. ეს შეკითხვა გამოიწვია ჩრდილო ზღვის შესახებ ახალმა საერთაშორისო ხელშეკრულობამ.

ᲠᲐᲜᲘᲜᲘ. აქაური ბირეზე გაიყიდა რუსეთის ახალ სე ხის ანგარიშში 2.440,000 ხუთას ფრანკიანი ობლიგაცია. ამაში 1.700,000 ობლიგაცია ძველ მოლვეადიან ვალების გასტუმრებას მოუნდა. დან რჩენი გაიყიდა. ყიდვის მსურველი იმდენი გამოჩნდა, რომ თითოს ხელშოწერილის მხოლოდ 2% ეოგო. გოლანდიაში 150 მილიონ ფრანკის ახალი ობლიგაციები გასაღდა.

ᲒᲐᲜᲯᲐ. გუბერნატორის განკარგულებით იტალიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ ხელს მოწერა გაიმართა.

ᲞᲣᲚᲘᲐᲜᲘ. სეისმოგრაფიულმა სადგურმა აღნიშნა სადღაც მომხდარი მიწის ძვრა, რომელიც მესსინაში მომხდარ მიწის ძვრაზე სამჯერ უფრო ძლიერი უნდა იყოს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სამინისტრო აცხადებს, რომ ხმები მოსკოვის გრადონაჩალნიკის რეინბოტის შესახებ საქმის მოსპობის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

ᲛᲔᲡᲡᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲯᲘᲝ. სადამოს მიწა ძლიერად ძაიძრა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ამას წინეთ გარდაცვალებულმა მილიონერმა მოროზოვმა თოფი თავისი ქონ ება უანდერძა თავის ნაცონობ ქალს, თავის ცოლს და ქალიშვილს კი არაფერი არ დაუტოვა. ამაზე სანივარი აღიძრა და სასამართლომ ანდერძის დამტკიცება შეაჩერა.

ᲗᲑᲘᲡᲘ. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში ნახეს მიწაში ჩაფლული 6 ყუმბარა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 500 მანეთით დაჯარიმეს „გოლოს პრავდის“ რედაქტორი ბ. იასტრებცოვი სტატიისთვის „ჩვენი რეგოლიუციონერები“.

ᲗᲐᲕᲘᲠᲘᲗᲘ. ხოოს მახლობლად სათარხანის მომხრეებს შეტაკებ მოუვიდათ მთავრობის ჯარებთან, რევოლიუციონერები დამარცხდენ და გაიქცენ. თავრიზიდან 20 კაცი საშველად გაიგზავნა.

ᲩᲔᲛᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

შავზეული ღრუბლები ბუროვს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრების მომავლს: ყველგან, ყოველის მხრივ სამტროდ ამხედრებულ ძალებს ვხედავთ და ამ ძალებთან საბრძოლველად საკირო თვითშეგნება და კულტურულ არსებობის სურვილი კი არსად არა სჩანს,—ის ხალხი, რომელიც ამ სამი წლის წინეთ სრულიად რუსეთის სარევოლუციო მისწრაფების მეგაირახტრედ გამოდიოდა, დღეს სდუმს, მორჩილად ქედს იხრის და უბრალო ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს იქ, სადაც მისი ძირითადი უფლებები ირღვევა...

ერთ საქმეში ბოტყვილებული და გულგატეხილი ხალხი სხვა საქმეებშიაც მოქმედებას გაურბის...

უმოქმედობას იჩენენ არა მარტო ხალხის ფართო მასსები, ამ მასსების მეთაურებიც დღეს არსად არ სჩანან და ხალხის ინტერესების ლეგალური, კანონიერ დაცვას ვერ ახორციელებენ.

ამ ინტერესებს დღეს დიდი საფრთხე მოელის. რუსების მემარჯვენე ელემენტებმა ვერ დაუფიწყეს ქართველებს რევოლუციის იდეით აღფრთოვანება, ვერ დაუვიწყეს ის სხვა და სხვა პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიც ჩვენში თვითგამორკვევის ნაყოფი იყო. დღესაც კიდევ, როდესაც რეაქციის ტალღამ წალეკა სარევოლუციო ხანის უკანასკნელი ხსენებაც კი, ყოველ ქართველში მაინც უკიდურეს მემარცხენეს ხედავენ, ყოველ ქართველში პოლიტიკურ ავტონომიის მოამრეს ეძებენ, ყოველ მორწმუნეს ავტოკეფალიის მიმდეგარს ეძახინ, და ყველა—უკიდურესი მემარცხენე, ავტონომისტი და ავტოკეფალისტიც ძმლავრ ერთ-ვნეულ მისწრაფებით გატაცებული და რუსებისადმი უსაზღვრო სიძულვილით გაჟღენთილი ჭგონიათ.

... და თვითონაც ქართველებისადმი უსაზღვრო სიძულვილს იჩენენ!

ეს სიძულვილი გამოიხატება იმ უნდობლობაში, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში იჩენენ ყველგან, სადაც საქმე ქართველების კულტურულ განვითარებას ეხება. სწავლა-განათლების მოწყობა, მცირეგა-გამეგონა, ხალხის თვითმოქმედება, მწერლობა და ეროვნული იდეალები, საჯარო ლექციები და ნაზოგადო კრებები,—ყველან ჩვენს საზოგადო ცხოვრებას ერთი და იგივე „გარეშე პირობები“ ისეთ ვიწრო კალაპოტს ანძევენენ, რომ ხშირად ამ ცხოვრების თან დაოანი განვითარება სრულებით შეუძლებელიც ხდება.

აციოოთ ორიოოე მაგალითი: ქართულად საჯარო ლექციების წაკითხვა აკრძალულია, რუსულად კი—ნება დართული. თვით საჯარო ლექციებისა[illegible] ბობა რომ ყოფილიყო მთავრობისათვის ან საკერძოდ ოფოსათვის საზიანო,—ცხადია, ამ ლექციებს რუსულადაც მოსპობდენ, მაგრამ არა,—რუსულად ნებადართული მხოლოდ ქართულად აკრძალულია. ერთი და იგივე ლექტორი, ერთსა და იმავე დარბაზში ერთსა და იმავე ლექციას რუსულად წაკითხავს და ქართულად სიტყვა-სიტყვით გადათარგმნილს კი ვერა.

რამ ჩაადგა ქართულ ლექციების საქმე ასეთ მდგომარეობაშა? აქ სხვა მიზეზებს ჯერ ჯერობით არ დავსახელებთ, მკითხველ საზოგადოებას მივუთითებთ მხოლოდ ერთ მიზეზზე,—ლექციების საქმეში ისეთი პირები გაერიენ, რომლებიც მთავრობისათვის საეჭვნი არიან. „საეჭვო“ პირებისაგან წაკითხულ ლექციას მთავრობა ეკვის თვალით უყურებდა, მათ ხელში დარჩენილ საქმეს ვერ ეწყობოდა... საჯარო ლექციების საქმე კულტურული, უპარტიო საქმეა და მისი უპარტიოოდ დატოვება ზედმეტად აუცილებელია ჩვენში იმის გამო, რომ მთავრობა მას სწორედ ამ მხრივ თვალ-ყურს ადევნებს.

ს. დემოკრატებმა ტფილისში სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისთვის წევრენ. ს. არჩევეენ ეს გარეშოება „დაივიწყეს“ და მით საჯარო ლექციების აკრძალვა გაადვილეს.

ს. დემოკრატებშიაც არიან პირები, რომლებიც სხვა და სხვა პარტიულ საქმეში, პარტიის ყოველდღიურ ბრძოლაში აქტივ მონაწილეობას არ იღებენ და პარტიის საქმეთა გამგეობას არ კისრულობენ,—ნუ თუ სახალხო უნივერსიტეტში არ შეიძლებოდა სწორედ ასეთ პირებს არჩევ? და „საეჭვო“ პირების არჩევა, განა, სახალხო უნივერსიტეტის განზრახ საფრთხეში ჩაგდება არ იყო?

ეს საფრთხე ქრთულად საჯარო ლექციების აკრძალვით დასრულდა. როგორც ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ამ აკრძალვას ითან ამართლებენ, რომ ადმინისტრაციას ადგილობრივ ბენ, ასეთ სანდო პირები, რომელთაც ქართული ესმოდეს და ლექციებზე თვალყურის დევნება შეეძლოს. ამბობენ, რომ ქართულად ლექტორმა, შეიძლება, ისეთი რამე სთქვას, რაც ლექციის საბოლოოს ან შეესაბამება და პროგრამაში აღნიშნული არ არის და რომ ლექტორი ეცდება ასეთ რამეების თქმას და სამეცნიერო ლექციის პოლიტიკურ აგიტაციით შეზავებას, ამის თავდებ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში „საეჭვო“ პირების არჩევა არ[illegible] ა.

ამნაირად წინდაუხედავი უტაქტობა არჩევანის დრო მთელ ქართულ ერისთვის სახარალო და სავალალო გამოგვა.

შემდეგ მაინც ასეთ უტაქტობას უნდა მოვერიდოთ. ხსენებულ პარტიის მეთაურებმა უნდა იცოდენ, რომ, სანამ პოლიტიკურ ცხოვრების პირობები არ შეცვლილა, არ შეიძლება ჩვენ მოქმედებაში დავივიწყოთ ის ძალები, რომელთაც ჩვენი ნამოქმედარის მოსპობა შეუძლია. ეს ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეობის ძირითადი კანონი ავიწყდებოთ ჩვენებურ ს.-დემოკრატებს და ამიტომ საქმე ფუქდება და იღუბება იქ, სადაც მის გაკეთებას ველოდნენ.

მაგრამ ყოველ გაფუჭებულ საქმეს მოვლა და გამობრუნება სჭირია, ქართულად ლექციების წაკითხვის აკრძალვასაც უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ქართველ ერს ვერ მოვაალვნთ იმ გონებრივ საზრდოს რომელიც რუსების კანონის ძალით აქვთ მინიკებული. არ შეიძლება იმიტომ, რომ ეს აკრძალვა არც ერთ კანონში მოხსენებული არ არის.

საჭიროა შეიცვალოს ის პირობები, რომელთაც ხსენებული აკრძალვა გამოიწვიეს. საჯარო ლექციების საქმეს, სახალხო უნივერსიტეტის გამგებლობას თავის ნებით უნდა ჩამოშორდეს ყველის ის პირი, რომელიც პოლიტიკას ვერ ჩამოშორებია.

საჭიროა აგრეთვე მთავრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობა აღძრან იმათ, ვისაც მთავრობა უჯერებს და ვის თხოვნასაც იგი ყურადღებას აქცევს. როგორ შეეძლია ქართველ საზოგადოებას გულგრილად ეყუროს განათლებას ესეთ წყაროს მოსპობას!? მართლაც განა საშში არ არის, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს აკრძალავენ, ქართულ წიგნების გამოცემის უფლებას მოსპობენ, ქართულ ენას აკრძალელო ხლად გახდიან და, დღეს თუ ეროვნულ შეგიწროებაზე ვლაპარაკობთ, შემდეგში შეიძლება უარეს მდგომარეობაში ჩავეარდეთ.

უნდა დაეიბრუნოთ ქართულად ლექციების წაკითხვის უფლება. ეს დაბრუნება შესაძლებლად მიგვაჩნია, რადგან ადმინისტრატიულის წესით გამოცემული განკარგულება ადმინისტრატიულის წესითვე მოისპოს.

ჟურნალ-გაზეთებში ამ აკრძალვის შესახებ არაფერი არ წერებულა, ჩაეჩუმებ საქმე, რომელიც ჩასაზუმებელი არ არის, რომელსაც ჩვენთვის, ქართველებისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სპარსე-

თის რევოლუციის, ან სხვა და სხვა ფილოსოფიურ საკითხებს.

* * *

ჩააჩუმეს აგრეთვე სხვა კითხვა,—ქართველ სამღვდელოების ახლანდელი მდგომარეობა და ახლო მომავალი, თითქო მას ქართველობისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. სინოდის განკარგულებით არხ. ამბროსი რუსეთში გადაასახლეს და მას წირვა-ლოცვის უფლება წაართვეს. რაც დღეს ამბროსის დამართეს, ხვალ ალბათ სხვა ღვდლებსაც დაემართება. ხმა დადის, რომ დღეს კირიონს უპირებენ დასჯას, შემდეგ ეპისკოპოზ ლეონიდს, აქ თბილისში სინოდალურ კანტორიდან ქართველ მოსამსახურეების გადაყენებას აპირებენო.

ეს გადაყენება საერთო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება თუ არის,—არ შეიძლება მას განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ და უფრო ვრცლად არ შევეხოთ. შემდეგ ნომერში ამ საკითხს დავუბრუნდებით.

მეთვალყურე.

პატარა შენიშვნა

(2 ივნვრას წარმოდგენის შესახებ.)

მწერლობაში ხანდახან რაღაც პოლიტიკას ეხმარობთ—საქმეს ის სახით არ ვაცნობებთ საზოგადოებას, როგორც მომხდარა, არამედ ისეთ სახეს ვაძლევთ, რომ მოსაქმეთაც ა'იმოწონს და საზოგადოებასაც გული არ აუცრუოს. ზოგჯერ ცოტა მიდგომაც ვიცით... მაგრამ რა გარემოებამაც ეს საუბარი გამოიწვია, იმაში მიდგომას ვერ ვიგულისხმებ და ვერც თუ გაუგებრობას,—მით უფრო, რომ ორმა გზეთმა ერთი და იგივე აზრი გამოსთქვა აქ უფრო მწერლობის ჩვეულებრივი ანგარიშიანობა უნდა იყოს, იმაზედ დამყარებული, რომ—„ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“. იქნება ესეც იყოს მაგრამ საზოგადო საქმეში უმჯობესად მიმაჩნია ყველა ნაკლი გამომეცადოს მოსაქმეთა საყურადღებოთ, რომ საკვლავოდ თვის და ნაკ სრი მოვალეობა უფრო უკეთესად შეასრულონ. ამით არა ოდეს არ დაიმცრობიან მოსაქმენი და თვითონ საქმესაც წარმატება მიეცემა. მარტო ამიტომ მიმაჩნია საჭიროდ ორიოდე სიტყვა ვსთქვა 2 ამ იანვრის საიუბილეო წარმოდგენაზედ, — რომელიც ორმა გზეთმა ქებით მოიხსენია.

დავიწყოთ რეფერატიდან. ეს რეფერატი—წინად (თეატრის გახსნაზედ) წაკითხული რეფერატის გამეორება იყო, იმ განსხვავებით, რომ ქართულად იყო წარმოთქმული და საქართველოს უკანასკნელი ხნის ისტორიული ცნობები ჰქონდა ჩართული. ხოლო თვითონ თეატრის ისტორია ისევე მრავალ გამოკლებით და იმავე ყალბ ცნობებით იყო შეზავებული. მაგრამ ამაზე აქ არ განვაგრძობ სიტყვას, რადგან ახლო მომავალში მწადიან, შეძლების დაგვარად, წარვუდგინო საზოგადოებას ჩვენი თეატრის მთელი მატიანე, თ. ვარანკოვის მეობებით დაფუძნებული (თუ შემოღებული.) თეატრის მოსპობ-დამ აწ არსებულ დრამატიულ საზოგადოების დაარსებამდის. (1855—1880). მაშ გადავიდეთ წარმოდგენაზედ.

კომედია „გაყრა“, რაც ეს პიესა არსებობს, ისე ცუდათ არც ერთხელ არ წარმოუდგენიათ, თვით მოყვარულებსაც კი, როგორც ორ იანვარს იყო. ამ პიესაში თითქმის ყველა იმას ცდილობდა, თავის სათამაშო,—სულ რბილად რომ ვსთქვათ,—გაეფუჭებინა. ბ. აბაშიძემაც კი, ამ მუდამ შესანიშნავმა მეკირტუმამ, ვერ გაუძლო ცთუნებას, თავის „სერიოზნობას“ უღალატა და საერთო ფერხულში ჩაება. დავიწყოთ ანდუყაფარიდან. მისი პირველი მონოლოგი „ჰოი, ოჯახო, კარგო ოჯახო“... ისე უშნო, უფერულად იყო წარმოთქმული, რომ უარესის წარმოდგენაც არ შეგვიძლიან. რაიცა შეეხება მიხვრა-მოხვრას, ლაპარაკს—სრულებით არ ეშესაბამებოდა ძველს, დარბაისელს თავადიშვილს, და ჩაცმულობა ხომ ადგილ-გარემოების მთლად შეუფერებელი იყო: ნეტა საიდან მოიფიქრა არტისტმა, რომ შინ, თარხნად მყოფმა ბატონმა, ბოტფორტებში გამოიწყო ფეხები. ეხლა ბარამ მოურავი. ბატონის სახლში აღზრდილი გაქნილ-გაიძვერა, სულ რომ თავის სარგებლობას ეძებს და ცდილობს თავის ბატონიც ისე ამოქმედოს, როგორც თვითონ ურჩევნია, ეს მოურავი იმ სადამოს რაღაც მოხარშულს, თავში ჩაკრულ ტეტიას წარმოადგენდა. ივანე?—ეს განათლებული კაცი? იგი, შეიძლება, მხიარული ხასიათისა იყოს, დაუდეგნელად, იქნება უპატიურადაც ეყრონობდეს თავის ოჯახის პირებს, მაგრამ არა მგონია კი, თავი გაისაცილოოს და ისე მასხარულად, გიესვით ეშმოკვარდეს ოთახში, ქუჩიდავე ხტომა ტრალითა და ძახილით; ჩვენ გვგონია, თვითონ ავტორიც სცდება, რომ შემოსელისას ანტრაბა უისრებია ამისთვის, მაგრამ არტისტის მოვალეობაც არის. მოიფიქროს, ეს ანტრაშა რისთვის არის საჭირო, რა ადგილას და რა ზომით გააკეთოს. გაბრიელი ცოტაოდენად გარანდულ, მაგრამ მკრთალ, მოკრძალებულ შინა ყმად მიგვაჩნია, და იმ წარმოდგენაზედ კი იმან რაღაც გალდებულ, გაბრიყვებულ ლაქიად გვაჩვენა თავი. მიკირტუმა, რასაკვირველია, ყველასა სჯობდა, მაგრამ, როგორც სხვა დროს გვინახავს, ისეთი არ იყო, სიტყვებსაც ასხვაფერებდა, მეტად უგულოდ ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გულ გაფუჭებული ეკიდებოდა საქმეს. ვერც მეორე პიესაში—ბლეხ ეჩიაშვილის როლის აღსრულებამ დაკვაკმაყოფილა; იგი მეტად ზარმაცად და ცივად ლაპარაკობდა და უალაგოდ ხშირად პუბლიკას უბრუნდებოდა, მის მაგიერ, რომ თავის სათქმელი ეთქვა. ეს ეკიდებოდა ამას ვიტყოდით, რომ ბლეხი ქალის ლეკურს არ გაეფუჭებინა შობაეშდილება. გვიკვირს, საიდან წარმოუდგენიათ ჩვენ მსახიობთ, რომ ბლეხის ქალები უთუოდ სასაცილოდ, ითქმის უშვერად, თამაშობენ ლეკურს? შეიძლება ყველა კარგად არა თამაშობდეს, მაგრამ აქედან განა ის გამოდის, რომ სცენაზედ, სადაც ბლეხის ქალის თამაშობაა საჭირო, უთუდ სასაცილო თამაშობა გვაჩვენონ. ამას წინადაც ხომ ესე იყო, (თეატრის გახსნაზედ), მაგრამ ორ იანვარს უშვერობამდის გასასაცილოვებული თამაშობა გამოვიდა. არსად გვინავთქვ და არც თუ ვინმე გეგულის ქალი იზამს, რომ კაცებთან ტანის წინ გამოდგმით დუაროს ლეკური. პირიქით მორცხვობის გამო თამაშობის დროს ყველანი მოიბუზებიან ხოლმე. მაგრამ არც ეს მობუზვა სცენისთვის აუცილებელი, მეტადრე მაშინ, როდესაც მოთამაშე მარტო ერთია.

ამ ლეკურის გარეშე, მთიკო და ბეტიანობა უნაკლულოდ იყო წარმოდგენილი და მათში აღსანიშნავი არიან ბ.ბ. აბაშიძე, შალიკაშვილი და იშხნელი, რომელთა თამაშობა მართლა საგანგებო იყო. მეტად კმაყოფილი ვართ, რომ ბ, იშხნელის შესახებ გამოთქმული (სავაკრო გზა № 29) აზრი—მოლოდინი გეამართოდება.

დასასრულ არ შეიძლება არ შეენიშნოთ, რომ ქართველების ჩვეულება იყო, და ეხლაც არის წვეროს პარსვა და მარტო მგლოვიარენი იყენებდენ წვეროს. 2 იანვრის წარმოდგენაზედ კი ქართულ პირებში უმთავრეს როლებს დიდ წვერიანები თამაშობდენ.

ძველი მეთეატრე.

„ბეტერა ლაისა“

(პიესა პროტოპოპოვისა).

დიდებული პრობლემა ქალის—ადამიანის განთავის-ფლებისა იმ მონურ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის იმყოფება მთელი ისტორიული სვლის განმავლობაში—კაცობრიობის განვითარების დაბლა საფეხურიდან მისი კულტურისნობის უმაღლეს წერტილამდე,- ეს პრობლემა, ვამბობ, ახალი დროის საქმეა,—იმ დროის, როდესაც კითხვას უპირველეს ხარისხისას შესაფერი განსწავლულგამიზნული იდეის მთლიანობა მიეცა. ძველი დროის ქალებიც ებრძოდენ თავის დამონავებას, გრძნობდენ და იგებდენ კიდეც, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ დიდ უმეტესობას ასეთი მდგომარეობა გონიერად მიაჩნდა და თავის ბედით კმაყოფილი რჩებოდა: უმცირესობა კი წარმოშობდა დროგამოშვებით თავის „სისხლის ამღებელთ“,—ის უმცირესობა, რომელსაც მოთმინების ფიალა ავსებული ქონდა, რომელიც თავისი ქალური სილამაზითა და ვეკაკური „ჯაუ-გონებით მეტს მოითხოვდა, მეტს ესწრაფოდა, ვიდრე ის უმთავესობა, რომლისთვისაც მისი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“,—არც შეიძლებოდა სხვაფრივ მოხდარიყო.

ხსენებული „სისხლის ამღებელები“, „ემანსიპატორები“ როდი იყვნენ რაიმე რეალურ იდეის მატარებლები, იდეის, რომელსაც შეეძლო ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება,—ისინი გაუმზვნელი მიზნით იყვნენ გატაცებული, სტაქიურად ესწრაფოდენ „სისხლის აღებას“, დამონავებისათვის დამონავებას ვეკეკაცისას და ამით ვითომდა მასთან უფლებრივად გათანასწორებას; საშვალება ამისათვის სიმშვენიერე ტანისა, „სილამაზე ჯაუსა“, რომელნიც ქალის ლეკვებად გახდნან საუკეთესო წარმომადგენლებს კაცობრიობის ნახევრისა, მთელ ქვეყანას მა დაუმორჩილებენ; მონობისათვის მონობა, დამორჩილებისათვის დამორჩილება, თუნდაც ფუთიერ; იყვნენ ისინი, საშვალება—მშვენიერება ქალობისა, გრაციი—პლასტიკა ჯაუგონებისა,—მისი „სილამაზე“. როგორც განსაზღვრული ქალის სილამაზე, ისე განსაზღვრული იყო მისი ასეთი„ მოღვაწეობა“ და არის ეხლაც კიდეე ზოგიერთ გადაგვარებულთა; ამიტომ საქალო წარმომადგენელი „მშვენიერ არსებათა ყოველთვის დამარცხებული რჩებოდა. უფლებრივი თანასწორობის მოპოვებისათვის, —უკეთესი ისტორიამ ქალებს მდაბალი ხარისხის ერთიტია კი არ არის საჭირო, არამედ რეალური იდეა თანასწორობისა, რომელიც მხოლოდ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა საქმეა.

ისტორიამ ბევრი გვაჩვენა ისეთი ქალები, რომელთა შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი,—გაისსენეთ: მესსალინა, საფო, დალილა, ლედი მაკბეტ, სოფია, რუს თის მეფის ქალი, მათ გამოხმაურება თანამედროვე ხანაშიც იპოვეს: მაგ. კარმენის ტიპის ქალი. მაგრამ ნამდვილი წარმომადგენლები ისეთ ქალებისა გვაჩვენა ძველმა საბერძნეთმა, ეგრეთ წოდებული გეტერები, რომელთაც განსაკუთრებული შკოლიც ქონდათ, სადაც ასწავლიდენ მას, თუ როგორ შეიძლება ვეკეკაბის დამორჩილება, ვეკეკაცების, რომელნიც ნამდვილი წარმომადგენელნი არიან თავისი სქესისა, როგორც ტანით ისე ჯაუთ.

აი, ამ გეტერების შესახებ მოგვითხრობს ჩვენ პროტოპოპოვის პიესაც „გეტერა ლაისა“: ეს შესანიშნავი სილამაზისა და ჭკუის მქონე ქალი თელი თავის ძალას ფიზიკურსა და ფსიხიურს თავგანწირულთ ხარჯავს მხოლოდ ერთი მიზნისათვის; ის მოედანზე აღდგენებს ბალს ოლიგარიების წინაღმდეგ, „ეკეკხანალიებსა“ მართავს, ფილოსოფიას სწავლობს, სტირის, თავს იმცირებს მხოლოდ იმისთვის, რომ ვეკეკაც „პირველი ცრემლი“,—ცრემლი დამონავებულ სულისა გადმოაგდებინოს, „მეორე ცრემლისთვის“ კი, რომელიც მას „წყლის წვეთად„ ეჩვენება ხოლმე დასცროს, იხარხარის მის უბედურებაზე;—სილამაზე გამარჯვებული დფრიალებს, სხვას ეძებს დასმონავებლად.. ხედება ფილოსოფოსის მედგარ პიროვნებას, მარცხდება, ხედება ქალს, რომელსაც ოჯახური კერა ყველფრად მიაჩნია, საყვარელი ადამიანი მას მიყვება, მარცხდება... და მხ-ლოდ იმით ინუგეშებს თავს, რომ მას და მისთანა ქალებს კაცობრიობა არ დაივიწყებს...

პიესა ეფექტურია, მხატვრული, თუმცა მთლიანობა, რომელიც ყოველი მხატვრული ნაწარმოების ნიშნობლივი თვისებაა, სამგალოთ ვერაა დაცული, განსაკუთრებით კარგნი არიან: პირველი, მეორე და მეხუთე მოქმედება, რომელიც მუსიკის აკომპანიმენტით მიდის. საზოგადოდ, ჩვენს აზრით, მთელი პიესა აკომპანიმენტით უნდა მიდიოდეს, იმდენათ პოეტური იგი, სცენაზე მაინც. არც ერთ როლში არ მოგვწონებია ისე იავოსკაია, როგორც ხსენებულ გეტერას როლში.

ვ. წ.

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ი. ხერხეულიძე.

განცხადებანი

ავტ. „ქოლაბანი“
ლიტერატურულ დანებულ ფურცლებ ფოსტების ფოლა
ბაზარ სასტუმრო სალმეებს, ძაბ. გაზეთებს,
ქუნარეულებს, წიგნებს, ბრიტანეულს და სხვა
და სხვა ანარეულს. სტანსა ფოლელ ბანა
ნაბეჭდ ასრულებს სუფთად და სწორედ.
ბეჭდავს ძალიან ძალიან ეროვნულ
საკუთარ ხასიათსა.
ადგილი ეძლევა ბეჭდვა
ბეჭდავს ბანაბეჭდ ბანაბეჭდ
ბეჭდავს ბანაბეჭდ ბანაბეჭდ
ბეჭდავს ბანაბეჭდ ბანაბეჭდ